აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

7 მარტი, 2014

დადგენილება № 39 (13/14)

კურატორის უფლება-მოვალეობების დამტკიცების შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში კურატორის უფლება-მოვალეობები დამტკიცდეს თანდართული სახით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

კურატორის უფლება-მოვალეობები

კურატორი თავის საქმიანობას წარმართავს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების და ფაკულტეტის დეკანის განკარგულების შესაბამისად. კურატორი უნდა იყოს ფაკულტეტის დეკანატის და დეპარტამენტის კოორდინატორის მიერ შერჩეული პირი, რომელიც ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს უწევს კონსულტაციებს. მისი მიზანია სტუდენტის აქტიური ჩაბმა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებით მუშაობაში. კურატორი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანის, ხარისხის მართვის სამსახურის და დეპარტამენტის კოორდინატორის წინაშე.

ზოგადი დებულებები:

კურატორი პასუხისმგებლია ჯგუფის აკადემიურ მოსწრებაზე. ჯგუფის კურატორი ინიშნება ფაკულტეტის დეკანის მიერ, რექტორის ბრძანებით. როგორც წესი, ინიშნება პროფესორი, რომელიც უკითხავს ჯგუფს ერთ-ერთ სასწავლო კურსს. კურატორის საქმიანობა განიხილება რექტორატისა და დეკანატის მიერ, როგორც უმნიშვნელოვანესი დავალება და აისახება პროფესორ-მასწავლებელთა პირად ინდივიდუალურ სამუშაო გეგმაში.

კურატორის საქმიანობის ხელმძღვანელობა:

კურატორის საქმიანობას ხელმძღვანელობს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი. განიხილავს კურატორის ანგარიშს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე. ხელს უწყობს კურატორთა გამოცდილების გაზიარებას. კურატორს გააჩნია სპეციალური დღიური. სადაც აისახება ჯგუფის ყველა მონაცემი. კურატორის სამუშაო გეგმა და ჯგუფთან ჩატარებული ღონისძიებები. კურატორის საქმიანობა ფასდება ყოველი სემესტრის ბოლოს.

კურატორთა საქმიანობის შინაარსი:

კურატორი ატარებს სტუდენტებთან ჯგუფურ და ინდივიდუალურ საუბრებს, ხელს უწყობს კულტურული, სპორტული და სხვა ღონისძიებების ჩატარებას. კურატორის მთავარი საზრუნავია - სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, სტუდენტთა ლექციებზე დასწრება. კურატორი პერიოდულად (თვეში 1-2- ჯერ) აწყობს ჯგუფის შეკრებებს. კურატორი უწევს დახმარებას ჩამორჩენილ სტუდენტებს.

კურატორის ამოცანები:

- სტუდენტის სასწავლო პროცესზე, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწორად ორიენტირება.
- სტუდენტის ინტელექტუალური განვითარებისათვის ხელშეწყობა.

კურატორის ფუნქციები და ვალდებულებები:

1. სტუდენტის მიზანმიმართული ჩართვა სასწავლო პროცესში;

2. საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებისა და პრეზენტაციების მოწყობა სტუდენტებთან;

3. არჩევითი და თავისუფალი კრედიტებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შერჩევა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, მათი პროგრამული და შინაარსობრივი თავსებადობისა და სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით;

4. პირველი და მეორე კურსის სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება, დახმარება მათთვის ახალ სისტემასთან ადაპტირებაში:

- ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის პროცედურის შესახებ;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
- ძირითადი (*major*) და დამატებითი (*minor*) სპეციალობების შესახებ;
- სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესახებ უნივერსიტეტის წესდებისა და შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესახებ;
- აკონტროლოს სტუდენტის მიმდინარე და სემესტრული აკადემიური მოსწრება,

5. ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობა;

6.ჯგუფთან შეთანხმების საფუძველზე კურატორი განსაზღვრავს ყოველთვიური ე.წ. ”კურატორის საათის” ჩატარების დროსა და ადგილს.